შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (9.724)

19-26 მარტი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკა საზღვრისპირა სოფლებში

გვ.5

ახალი საპენსიო სისტემა მომავალი წლიდან ამოქმედდება

გვ.2

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

გვ.3

ანარმოე საქართველოში

გვ.3

დედოფლისწყაროში – ბერძნული გამოცდილებით

„გულს პოეზიით ვიკურნავ, სულსაც არა სჭირს იარა“...

გვ.6

ტრაგიკული შემთხვევა ქედში

გვ.7

თქვენს პატარას დაუნის სინდრომი აქვს!

გვ.7

C M Y K

ახალი საპენსიო სისტემა მომავალი წლიდან ამოქმედდება

პენსიონერების საბაზისო უზრუნველყოფა ინფლაციის გათვალისწინებით, ინდექსაციის პირობებში მოხდება, რასაც ახალი, დაგროვებითი კომპონენტი დაემატება,- საპენსიო სისტემის შექმნის კუთხით განხორციელებული სამუშაოსა და საპენსიო სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშს მთავრობა დღევანდელ სხდომაზე მოისმენს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ეს არის უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის სამინისტროს კოორდინაციით და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული უწყება, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

„ეს სისტემა გულისხმობს არსებული საპენსიო სისტემის ჩარჩოებში მოქცევას, იმ კუთხით, რომ პენსიონერების საბაზისო უზრუნველყოფა ყოველთვის ხდებოდეს ინფლაციის გათვალისწინებით ინდექსაციის პირობებში და ახალი დამატებითი დაგროვებითი კომპონენტის შექმნას, რომელიც მომავალი წლის მესამე კვარტლიდან ჩაირთვება. მანამდე ჩვენ გვექნება საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების გაწერილი გეგმა. საუბარია დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან თანადაფინანსებულ დაგროვებით სისტემაზე, რომელიც მომავალი პენსიონერებისთვის სოციალური უზრუნველყოფის იმ დონეს შექმნის, რაც სხვა გაცილებით სხვა ხარისხის სიბერეს უზრუნველყოფს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი სისტემა არსებული საბაზისო სისტემის გაუქმებას არ გულისხმობს. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, არსებული საბაზისო საპენსიო უზრუნველყოფა იმოქმედებს დაგროვებითი სისტემის პარალელურად და საბაზისო სისტემით გათვალისწინებული პენსიების ინდექსირება ინფლაციის კვალდაკვალ მოხდება.

ოთარ დანელია - მნიშვნელოვანია, საქართველო გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა

ოთარ დანელია - მნიშვნელოვანია, საქართველო გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია საქართველოს ტექნოლოგიების პარკში (ტექნოპარკი) გამართულ კონფერენციაზე “საქართველო და მსოფლიო 2016 წელს” სიტყვით გამოვიდა და აგრარულ დარგში არსებულ მდგომარეობაზე, მიმდინარე ღონისძიებებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, მინისტრმა ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით.

“მნიშვნელოვანია საქართველო გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმონერის შემდეგ, აგრარული დარგი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნების, ასევე ჩინეთისა და იაპონიის ბაზრებზე ქართული პროდუქციის ექსპორტირების ხელშეწყობას”, - განაცხადა მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას.

კონფერენციის ფარგლებში მინისტრმა სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების მიერ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიზნით განხორციელებული სამუშაოების ანგარიში წარადგინა. ოთარ დანელიამ მელიორაციის მიმართულებით ინოვაციური პროექტების, აგროდაზღვევის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის პროექტის, სასოფლო-სამეურნეო კოოპარაციის, საექსტენციო მომსახურების გაძლიერები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სასურსათო უსაფრთხოების და სურსათის უვნებლობის შესახებ ისაუბრა. მინისტრმა ხაზი გაუსვა აგრარული დარგის განვითარებისთვის სამინისტროს დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. მინისტრმა ასევე აღნიშნა საფრანგეთის ღვინის კულტურისა და ცივილიზაციის ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ, რომლის თანახმად, ბორდოში 2017 წელი საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოსა და უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წლად გამოცხადდება.

კონფერენციაში “საქართველო და მსოფლიო 2016 წელს” მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები.

„ჩვენ, ჟურნალისტები, ადამიანებს ვეუბნებით, საით გადახტა კატა“...

ჟურნალისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროა, - ასეა განმარტებული ჟურნალისტიკა სახელმძღვანელოში. ჟურნალისტიკა მიზნად ისახავს აქტუალური ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებასა და გავრცელებას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი, ყველა ჩვენთაგანისათვის ნაცნობია და ესენია ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ჟურნალი და ახლა უკვე ინტერნეტიც.

ოდითგანვე ჟურნალისტიკას განსხვავებულ შეფასებას აძლევდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, უინსტონ ჩერჩილი რადიოსა და ტელევიზიას ხალხის გამაბრუებელ საშუალებად მიიჩნევდა, ხოლო ნაპოლეონს სასტიკად ეშინოდა გაზეთების, რადგან მასში ხალხის აზრი იყო გამოხატული და საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო. ცნობილი ადამიანები ჟრნალისტიკაზე ამბობდნენ:

„ჟურნალისტიკა ხელოვნებაა, აუხსნა სხვებს ის, რაც თავადაც ცუდად გესმის“, - ალფრედ ჩარლზ ნორტკლიფი.

„ჩვენ, ჟურნალისტები, ადამიანებს ვეუბნებით საით გადახტა კატა. შემდეგ კი საზოგადოება თავად დაკავდება კატით“,- არტურ სულცერბერგი;

„მე ჟურნალისტიკას ვუწოდებ ყოველივე იმას, რაც ხვალ ნაკლებად საინტერესო იქნება, ვიდრე დღეს“,-ანდრე ჟილი.

„პუბლიცისტიკის უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრებაა თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა“- ილია ჭავჭავაძე.

„ჟურნალისტიკა ნაჩქარევი ლიტერატურაა“,-მეთიუ არნოლდი.

„ჟურნალისტები დროის ბებიაქალები და მესაფლავენი არიან“ -კარლ გუტკოვი.

„ჟურნალისტი ადამიანია, რომელსაც საოცარი უნარი აქვს ყოველდღიური უსასრულობა რაღაცით მაინც შეავსოს“,- დეიმ რებეკა უესტი.

„ნათელ მომავალზე პოლიტიკოსები ზრუნავენ, ნათელ წარსულზე - ისტორიკოსები, ნათელ აწმყოზე - ჟურნალისტები“,- ჟარკო პეტანი.

„ჟურნალისტები ერთგვარად დანიელ ქალიშვილებს გვანან, რომლებსაც ღმერთებმა უძირო კასრის წყლით ავსება მიუსაჯეს“,- კარლ ჩაპეკი.

„ჟურნალისტიკა ისეთივე ძველი პროფესიაა, როგორც.... მოკლედ, ის მეორე უძველესი პროფესიაა“,- რობერტ სილვესტერი.

როდესაც 2003 წელს „შირაქის“ რედაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტად დავიწყე მუშაობა, საბოლოო პროფესიად ჟურნალისტობა არ მქონდა გადაწყვეტილი. მალე ჩემი პირველი საგაზეთე სტატია გამოქვეყნდა, მას მერე სენივით შემიპყრო სტატიების წერის სურვილმა, ჯაჭვურად ისე აეკინძა ერთი საგაზეთო მასალის დაბეჭდვის იდეა-მეორეს, რომ ველარ შევეშვი. თავდაპირველად ჟურნალისტობა ჩანახატების წერა მეგონა, დავინახავდი აყვავებული ატმის ტოტს, ან გატეხილ ფიალას, ან მოწყენილ ბუნებას და დავწერდი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტობა მაღალი პასუხისმგებლობაა, რომელიც პრობლემების, სიახლეების და განხორციელებული პროექტების მკითხველამდე სწორად მიტანას გულისხმობს...

ჩვენი გაზეთი რაიონის ისტორიის მემატიანეა, რომელიც ფაქტებისა და მოვლენების გარდა ადამიანური ისტორიების შესახებაც მოუთხრობს მკითხველს.

რას ფიქრობს თავად საზოგადოება გაზეთ „შირაქზე“, რა მოწონთ ან არ მოწონთ, როგორი უნდათ, რომ იყოს გაზეთი „შირაქი“, ამაზე თავად ჩვენი მკითხველის მოსაზრებები მოვისმინეთ.

მაკა სულაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი,- დედოფლისწყაროში პუბლიცისტიკას თითქმის საუკუნის ისტორია აქვს. ისტორია ქმნის ტრადიციებს და ტრადიციები კი ალბათ მნიშვნელოვნად განაპირობებს ხარისხს. შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი გაზეთი,,შირაქი“, რომელმაც დედოფლისწყაროს ჟურნალისტიკის ისტორია შექმნა, არათუ აკმაყოფილებს, არაფრით ჩამოუვარდება ქართულ მედია სივრცეში არსებულ პერიოდიკას. იგივეს თქმა შეიძლება დამოუკიდებელ მედიასაშუალებებზეც. მინდა, რომ არსებული ტრადიციები მომავალშიც გაგრძელდეს და ასევე, მინდა, რომ ,,შირაქი“ დარჩეს ისეთი, როგორიც არის... ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ, დედოფლისწყაროელებმა, ვიამაყოთ თქვენით. ჩემო კოლეგებო, მე, როგორც დედოფლისწყაროელი ჟურნალისტი, ვიყავი, ვარ და ყოველთვის ვიქნები თქვენი დიდი ქომაგი , უპირველესად კი მეგობარი. გილოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს...

ლია ნატროშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - „რედაქციაში მშვენიერ და ნიჭიერ ქალბატონთა სასიამოვნო გუნდია...ყველას შეგიძლიათ სიყვარული და თანადგომა. თქვენთან თბილი, ღიმილიანი და საქმიანი შეხვედრები მუდამ მახარებს. დღითი დღე წინსვლაც შესამჩნევია... ვგულისხმობ გაზეთს. ჩემი სურვილია, მოიძიოთ და ყველა ნომერში გაგვაცნოთ განსხვავებული ადამიანები რაიონის მასშტაბით.

ქსენია ზუზიაშვილი, გამარჯვების სკოლის პედაგოგი,- „ უდიდესი სიყვარულით გილოცავთ თქვენთვის საყვარელი პროფესიის დღეს. უდიდეს პატივს გცემთ წარმატებული საქმიანობისთვის. ამას გეუბნებით მთელი გულწრფელობით, რადგან ჩვენი ურთიერთობა ათეულ წელს ითვლის. ჩემი ცნობიერება რამოდენიმე ათეულ წელს ითვლის, რაც ვკითხულობ თქვენს გაზეთს (დაწყებულს “კოლმეურნედან“). მომწონს, აქტიურად ახმოვანებთ მნიშვნელოვან ამბებსა და სიახლეებს. ვისურვებ, მოგვაწოდოთ მასალები ყველასგან მიტოვებულ, უანგაროდ, დაუღალავად მომუშავე მართლა ამაგდარ პედაგოგებზე, რომელთა რიცხვი მრავალია. გაგვიხალისოთ ცხოვრება, თქვენ ბრძანდებით ქალთა საზოგადოების აქტიური წევრი, დაგვიყენეთ ჩვენც გვერდით და უფრო მეტი საქმის გაკეთებას შევძლებთ.

თაკო ნატროშვილი, სოფელ მაჩხაანიდან დედაქალაქში წასული ახალგაზრდა,- „პირველ რიგში გილოცავთ ჟურნალისტის დღეს, მინდა გისურვოთ, რომ ბევრი საინტერესო ინფორმაცია, აქტუალური პრობლემა და სასიამოვნო საიხლე დაიბეჭდოს ამ გაზეთის ფურცელზე, თქვენს სტატიებში ყოველთვის იგრძნობა ობიექტურობა და გულწრფელობა. მინდა კვლავაც იგივე დავინახო, როცა სოფელში ვარ, ვეცნობი თქვენს გაზეთს და თითქმის სრულყოფილი წარმოდგენა მექმნება რაიონის აწმყოზე, მის კულტურულ ცხოვრებაზე და ეკონომიკურ პროგრესსა თუ სიდუხჭირეზე. დიდი მადლობა სწორი და მიუკერძოებელი ინფორმაციისთვის.“

ნატალია ბარბაძე, გაზეთ „სპექტრის“ რედაქტორი,- „სამწუხაროდ, გაზეთ “შირაქს“ ვერ ვკითხულობ, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ პოპულარულია. ჟურნალისტებს, რომლებიც ამ გამოცემაზე მუშაობენ, ვულოცავ პროფესიულ დღეს. ვუსურვებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას, მკითხველის სიყვარულს და პროფესიულ წინსვლას.“

გულო იაკობიშვილი, სოფელ სამრეკლოს მკვიდრი,-„1960 წლიდან გაზეთ შირაქის მკითხველი ვარ, შვილო, ერთი ნომერი და ერთი ხაზი არ გამომიტოვებია, რომ არ წამეკითხოს, მიყვარხართ ყველა, მთელი თქვენი კოლექტივი. უბრალო მკითხველი არ გეგონოთ, „შირაქის“ ყველა ნომერი შენახული და აკინძული მაქვს 1960 წლიდან დღევანდლამდე. განსაკუთრებით მიყვარს ინგა შიოლაშვილი, ქალბატონი ნაირა გორაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი, ყველას გევრდში დგომას და გულისხმიერ მიღებას ვგრძნობ, ყოველ ორშაბათს პატარა ბავშვი რომ დედას ელოდება, ისე ველოდები თქვენი გაზეთის მოსვლას. დაგლოცავთ ჩემი ალალი გულით ყველას და ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენი შრომა ისე დაფასებულიყოს, როგორც იმსახურებთ და როგორადაც აი, უბრალო ხალხს უყვარხართ!“

ნინო ჭაბაშვილი, „კახეთის ხმის“ და გაზეთ „ალიას“ ჟრნალისტი 2004-2011 წლებში - „დედოფლისწყაროში ჯერ კიდევ მაშინ დავდიოდი და ჟურნალისტურ მასალებს ვაგროვებდი, როდესაც წყალი არ იყო სოფლებში და ვენახებში მოკრეფილი ყურძნის ჩაბარება და რეალიზაცია უჭირდა ხალხს, როდესაც კერძოობა დაიწყო და ხალხი ახლად უწყობდა ფეხს კერძო მეურნეობების შექმნას, თითოეული მოქალაქის, თითოეული სოფლის პრობლემა მახსოვს დღემდე, ძალიან მიყვარს მანდაური ხალხი, განსაკუთრებით ქედელები, რომლებიც მუდმივად მართალ სიტყვას ამბობდნენ და არც არასოდეს იხევდნენ უკან კრიტიკული განაცხადი გაეკეთებინათ. „შირაქელები“ გმირი ხალხი ხართ, ყველა მიყვარხართ, მახსოვს, რამდენი ხელისუფლება და ხელმძღვანელიც მოვიდა, იმდენი ქვეშეცნეულად გდევნიდათ, გებრძოდათ, თუმცა იცოდნენ, რომ მუდამ სჭირდებოდათ „შირაქი“, ისიც ვიცი, რომ ყველა წავიდ-წამოვიდოდა და თქვენ რჩებოდით, როგორც ძლიერი „მუხა“. ყველა ხელმძღვანელს ავიწყდებოდა, რომ ჟურნალისტებთან ბრძოლას საკუთარი მკლავების დაჭრა სჯობდა, რადგან ოდითგან ასე იყო, რამდენადაც ბევრი ბეჭდური მედია იყო ქვეყანაში, იმდენად მეტად ძლიერი იყო საქართველოს თვითშეგნება და კულტურა, იმდენად მეტად თავს იწონებდნენ ჩვენი წინაპრები. თქვენ იცით, როგორები ხართ?! ალაზანივით ხართ, რომელიც მოდის, მოედინება თავისი ზვირთებით და მოაქვს თავისი ისტორია, თქვენც ასე მოჰყვებით და მოგაქვთ იმ მძიმე ზვირთებში ჩაქსოვილი ისტორია. ბოლოს, მინდა გისურვოთ მეტი დამოუკიდებლობა და სიტყვის მეტი თავისუფლება.

ლალი მეხრიშვილი

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

21 მარტს საქართველოში ქართული ჟურნალისტიკის დღეს აღვნიშნავთ. მე მინდა ყველა ჟურნალისტს მივულოცო პროფესიული დღე, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარების საქმეში. განსაკუთრებით მინდა მივულოცო და ჩემი მადლიერება გამოვხატო დედოფლისწყაროში მოღვაწე ჟურნალისტების მიმართ. ისინი წლების მანძილზე მშობლიური რაიონის პრობლემებსა თუ მიღწევებზე აქტიურად მუშაობენ და ძალ-ღონეს არ იშურებენ - ობიექტურად აშუქებენ, წერენ, თუ ტელევიზიით გამოდიან. ისინი თავისი ძალისხმევით ხელს უწყობენ იმას, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი დღითიდღე უფრო ვითარდება და სხვადასხვა პრობლემების დაძლევა ხდება. ეს დღე განსაკუთრებით მინდა მივულოცო გაზეთ „შირაქის“ რედაქციას, რომლის ისტორიაც საკმაოდ დიდია და მისი არსებობა მრავალ ათეულ წელს ითვლის. მომავალ წელს, გაზეთს საიუბილეო წელი აქვს, დაარსებიდან 80 წელი უსრულდება. აქ მუშაობენ როგორც ღვაწლმოსილი, ასაკოვანი, ისე ახალგაზრდა ჟურნალისტები და ერთობლივი ძალებით ყოველკვირეულად ქმნიან გაზეთს, რომელსაც ენდობიან და უყვართ. კვლავაც დიდ წარმატებებს და პროფესიულ წინსვლას გისურვებთ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დედოფლისწყარო არ გამოირჩევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სიმრავლით, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც გაგვაჩნია, საუკეთესოა. ყველაფერი კი პროფესიონალთა იმ გუნდის დამსახურებაა, რომელიც დღეს დედოფლისწყაროს მედიას ემსახურება. ეს, რა თქმა უნდა, მე, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ასევე, მმართველი პარტიის ხელმძღვანელს, განსაკუთრებულ სიამაყეს მანიჭებს. მოხარული ვარ, რომ ჩვენს ჟურნალისტებს ქართული ჟურნალისტიკის დღეს გაზეთ,,შირაქის“ საშუალებით ვულოცავ, გაზეთის, რომელიც თითქმის საუკუნეს ითვლის და არათუ დედოფლისწყაროში, საქართველოშიც ერთ-ერთი უძველესია. ის, რომ მრავალი ათწლეულია,, შირაქი“ არსებობს და არასდროს მოჰკლებია არც შინაარსობრივი და არც ჟანრობრივი მრავალფეროვნება, მეტყველებს იმ ადამიანების მაღალ პროფესიონალურ დონესა და სულისკვეთებაზე, რომლებიც აქ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ. თუ მკითხავთ-როგორ,,შირაქს“ ვისურვებდი მომავალში, გიპასუხებთ-ისეთს, როგორიც დღეს არის... გილოცავთ ჟურნალისტის დღეს, გისურვებთ ბევრი სასიამოვნო ინფორმაციის გაშუქებას, პროფესიულ წინსვლასა და წარმატებებს.

ზვიად ჯავახიშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

ყველაფერი პირველი „ცნობის ფურცლიდან დაიწყო“. ხალხი ამ შავ-თეთრი ფურცლებიდან უამრავ ახალ ამბავს იგებდა. კითხულობდა ყველა, ვინც წერა-კითხვა იცოდა, ვინც არ იცოდა, ცდილობდა, სხვისთვის ეთხოვა, წაეკითხა ახალი ამბები. მოგვიანებით, ტექნიკის გაუმჯობესებასთან ერთად, „ცნობის ფურცელს“ სახელი გადაერქვა და გაზეთი ეწოდა, ის მრავალგვერდიანი და მეტად მრავალფეროვანი გახდა, შემდეგ ფერადიც... მეოცე საუკუნემ ჯერ რადიო, შემდეგ კი ტელევიზიაც შვა, ე. წ. ელექტრონული მედია. მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფონზე სულ უფრო იხვეწებოდა მედიის სახე, ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოგონების შემდეგ სოციალური მედიაც გაჩნდა, რომელმაც სულ უფრო მეტი მომხმარებელი შეიძინა... გაზრდილი მომხმარებლის ფონზე მეტად აქტუალური ხდება მედიის როლი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, მედიასაშუალებები ყველას ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. ის მოიცავს ყველა სფეროს, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკაზე... ვინმეს პიარი გინდათ? - ამისთვის აუცილებლად დაგჭირდებათ როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური მედიასაშუალება, ასევეა შავი პიარის შემთვევაშიც. პოლიტიკური დებატები წარმოუდგენელია მათ გარეშე, და ხშირად არჩევნებზე მოგებული ის პოლიტიკური სუბიექტი გამოდის, ვინც მანამდე წარმატებით ართმევს თავს წინასაარჩევნო ბატალიებს... მოკლედ, რაც არ უნდა ამტკიცოთ, რომ თქვენზე ნაკლებად მოქმედებს, რას აშუქებენ საინფორმაციო საშუალებები, ცოტა ხანში აღმოაჩენთ, რომ მოსმენილი თუ წაკითხული ინფორმაცია ისეთსავე შედეგს იწვევს, როგორც ხშირად მოსმენილი სარეკლამო განცხადება... ალბათ დამეთანხმებით, ვიღაცის წარმატების დასაწყისი სწორედ მასზე გაკეთებული დადებითი ხასიათის გადაცემა ან სტატია გამხდარა, ხოლო არაერთი პოლიტიკოსისა თუ საზოგადო მოღვაწის კარიერა დაუნგრევია არასასურველი ხასიათის სიუჟეტს, წერილს...

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. დღეს საქართველოში ჟურნალისტიკა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, რადგან ეს სივრცე კვლავ პოლიტიზირებულია... ძნელია, თანამედროვე სამყაროში ბევრ ცდუნებას გაუძლო, მაგრამ თუ პროფესიონალი ხარ, ამ ბარიერს აუცილებლად გადალახავ...

გილოცავთ, კოლეგებო, პროფესიულ დღეს და ვისურვებდი, არასოდეს დაგვეკარგოს პროფესიისადმი სიყვარული და მკითხველთა მხარდაჭერა.

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროში-ბერძნული გამოცდილებით

მან ოცი წელი საბერძნეთში იმ საწარმოში იმუშავა, სადაც სპორტული ინვენტარი მზადდება ადგილობრივი სპორტული კლუბებისთვის და ამავდროულად, საექსპორტოდაც. საქართველოში დაბრუნებისა და დედოფლისწყაროში სპორტული კლუბის დაარსების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ქართული ბაზარი სამამულო წარმოების პროდუქციის რეალიზებას არ ახდენდა, იმ მარტივი მიზეზით, რომ სპორტული ინვენტარი არსად იწარმოებოდა... საბერძნეთიდან ჩამოტანილი მარაგი უკვე ეწურებოდა, ჩვენს ქვეყანაში კი ასეთი პროდუქცია საკმაოდ ძვირადღირებულია და მაღალი ხარისხითაც ვერ დაიკვეხნის. „როდესაც საქართველოს მთავრობამ პროექტი „აწარმოე საქართველოში“ დააანონსა, მაშინვე ის იდეა დამებადა, რომ ადგილზე შემექმნა მცირე ზომის საწარმო, სადაც სპორტული ინვენტარის დამზადება შესაძლებელი გახდებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივი ბაზარი საკმაოდ დაბალი ხარისხის პროდუქციითაა გაჯერებული, მე კი საბერძნეთში სწორედ ასეთი ტიპის საწარმოში ვმუშაობდი. ამ გამოცდილების გათვალისწინებით მივიღე პროექტში მონაწილეობა. მოეწონათ ჩემი იდეა და დამაფინანსეს“-ამბობს მიხეილ სეხნიაშვილი, რომელიც საქართველოს საბრძოლო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

პროექტის ფარგლებში დაფინანსებულმა საწარმომ ფუნქციონირება უკვე დაიწყო. თავდაპირველად წარმოებაში შვიდი-რვა ადამიანი დასაქმდება, მომავალში კი, მისი გაფართოების შემთხვევაში, მიხეილ სეხნიაშვილი გაცილებით მეტი მუშახელის აყვანას გეგმავს: „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ჩვენს საწარმოში დამზადებული სპორტული ინვენტარი როგორ რეალიზდება- მოგეხსენებათ, დღეს ყველანი საბაზრო ეკონომიკაზე ვართ დამოკიდებულნი. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩემი კლუბის საწვრთნელი დარბაზისა და სპორტსმენების აღჭურვა მოხდება შესაბამისი ინვენტარით, დანარჩენ პროდუქციას კი- რეალიზაციაში გავუშვებ. ჩემი მთავარი მიზანია, ჩემი კლუბიც და ეს საწარმოც ერთობლივად გაჭირვებულ ნიჭიერ სპორტსმენებს დაეხმაროს წარმატების მიღწევაში.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, რომელმაც მომცა შანსი, რომ ასეთი საწარმო შემექმნა“-საწარმოს შექმნის მთავარ მიზანს გვაცნობს ის.

საწარმოს წარმატებაში მიხეილს ეჭვი არ ეპარება, რადგან, მისი თქმით, მსგავსი ტიპის საწარმო საქართველოში არ არსებობს, ის ასევე დარწმუნებულია საკუთარი პროდუქციის ხარისხშიც. ამიტომ თვლის, რომ მის საწარმოს მომავალი აქვს, ამაში კი საბერძნეთში მიღებული გამოცდილებაც დაეხმარება.

ინგა შიოლაშვილი

„გულს პოეზიით ვიკურნავ, სულსაც არა სჭირს იარა“...

72 წლის ეთერ ჩოხელი ისევ ხალისიანად დაგვიხვდა, მის მოსაკითხად ჩასულებს კარში ომახიანად გამოგვეგება, „რომელნი ხართო“ – დოინჯშემოყრილმა გვკითხა და თავიდან ფეხებამდე კარგად აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. წლებს ვერ გაუტეხავს, მაგრამ თავისი წილი დარდი მაინც დასტყობია ნაღვლიან თვალებზე. ჩვენთვის ეთერ ჩოხელის აზრი და დამოკიდებულება ყველა საკითხის მიმართ მნიშვნელოვანია, რადგან ის მართალი ქალია, მართალი სიტყვის მსახური.

-ქალბატონო ეთერ, როგორ ხართ, როგორ ცხოვრობთ?

-როგორა ვართ და, როგორც სოფლის გლეხ ქალს შეეფერება, შრომასა და გარჯაში, აბა როგორ ვიქნები? თუ გავიგებ სადმე, რომ ნიორია გასათოხნი, ან გასამარგლი, ამოსაღები და დასაბინავებელი, მაშინვე მივდივარ ამ ხნის ქალი, არ ვიზარებ და სხვის ადგილშიც ვმუშაობ. მაშ რა ვქნა აბა, გაჭირდა ცხოვრება უარესად. დახმარებას ვიხვეწები ხუთი წელია და არ მაძლევენ. არადა, ოჯახში ყველა უმუშევარი ვართ, მართალია პატარ-პატარა მიწები გვაქვს, ვაუჩერებიც მოგვცეს, მაგრამ ვერ მოგვიხნავს, ვერ დაგვითესია, რადგან სათესლე ხორბალი არა გვაქვს და რა ჩავყაროთ მიწაშია?! რა ვქნათ, შვილო, იმასაც მთავრობა ხომ არ მოგვცემს, ხოდა, მაგის გამო, ვერ ვთესავთ და ფქვილს კი ვყიდულობთ მაღაზიაში! ასეთია ჩემი ყოფა, მაშ ამ ასაკის ქალი სახლში მშვიდად არ უნდა ვიჯდე? -კი უნდა ვიჯდე, მაგრამ, რომ გვიჭირს, გავდივარ და რაც შემიძლია, ვაკეთებ. ხან ისე ვარ-ხოლმე, დარდისაგან, ხმა არ ამომეღება, მაგრამ სახლში რომ შემოვალ, აი ამ ბალღების თვალები რომ შემომანათებენ, სუნთქვა მეხსნება, ესენი არიან ჩემი დარდის გამქარვებლები. მათ რომ დავინახავ, ყველა ცუდი მავიწყდება. ჩემს ცხოვრებაზე გეტყვით ლექსს:

„ჩემი ტანჯული ცხოვრება
ლექსებმა გამიმზიანა,
გულს პოეზიით ვიკურნავ,
სულსაც არა სჭირს იარა,
მე ამითა ვარ მდიდარი,
მილიონებით კი არა!
ბრძნულია ბრძენთა ნათქვამი,
თუ ვინ ჩაჰხდება გონადა,
ნურც ნურვის დაემონები,
ნურც დაიყენებ მონადა.
შენ წილ მიწაზე ნაბიჯი,
სულ მუდამ დაჰდგი სწორადა,
ღმერთის სასწორზედ იდექი!
კაცობის ასაწონადა!“

-როგორ ფიქრობთ, ბედნიერი დედა და ქალი ხართ?

- გულსრული დედა ვარ, სამი შვილის და ექვსი შვილიშვილის პატრონი, გულნაკლული ამათით არ ვარ, ყველა კარგად მყავს და ჯანმრთელად, ჩემი სიხარული და სიმდიდრე ბევრი ქონება და სიმდიდრე კი არა ესენი არიან. ჩვენისთანა ხალხი დაფასებულები უნდა ვიყოთ, ქალთა თვეა და როგორც ქალები, აგერ თქვენ გაგახსენდით მოსაკითხად, აბა, ვის ვახსენდებით, არავის. ადრე სხვა იყო, ქვეყანა ჩამოდიოდა, გვიწვევდნენ, გვეძახდნენ, გვჩუქნიდნენ. ახლა აღარავის ახსოვს აღარც ფოლკლორი, აღარც ხალხისა და ქალების დარდი აქვთ. არადა, ხელოვნება და სულიერება თუ გადაარჩენს საქართველოს, როგორ შეიძლება, უცხოელი მოდიოდეს და ის აგროვებდეს, აინტერესებდეს ჩვენი ფოლკლორი და ჩვენსას არ აინტერესებდეს წინაპართა გამონათქვამები. რამდენიმე წლის წინ „ფიროსმანობაზე“ ვიყავი მიწვეული და იქ წარმოვთქვი ეს ლექსი:

-„შენს მიწა-წყალზე მოსულნი,
ჰატივს მოგაგებთ ნიკალა,
ცხოვრების ბედით ტანჯულო,
შენ სულმაც გამოიდარა.
ამ ლაღ ბუნებამ აღგ ზარდა,
აქ ირწო შენი აკვანი,
ნიჯი, ბუნებამ გიბოძა
გრძნობები ალალმართალი.
მითაც გადიდებთ, აღზევდი,
გაქვს დაფასება, მიღწევა,
და ქრისტიანთა ოჯახში,
სადაც აკვანი ირწევა,
ამშვენებს შენი ნახატი,
დიდ საგანძურად ითვლება.
ხიბლი მაქვს შენი ფუნჯისა,
მსოფლიოს ცაზე ბრწყინდება,
ნიჯი ქართველთა გენისა
არასდროს დაიბინდება.“

-საიდან მოდის ამხელა რითმათა ერთობა, ან რა მუზა გაქვთ ასეთი?

- ყველაფერზე, რაზეც ვფიქრობ, სულ რითმულად ვფიქრობ, რაც მიჭირავს ხელში, თოხია თუ ბარია, სულ რითმებით ვაწყობ ფიქრებს, ზოგჯერ ისეთი კარგი რითმა მოვა ხოლმე მუშაობაში, ვინატრებ, ეხლა კალამი და ფურცელი მომცა ხელში, ჩავიწერდი–მეთქი, მაგრამ დრო და საშუალება ყოველთვის ხომ არაა... თუ გაფრინდა ის რითმა, მერე როგორც გინდა იწვალო, ისე ვეღარ ააწყობ, მორჩა. ერთხელ ძალიან დადარდიანებული ვიყავი და დავწერე ეს ლექსი:

-„მთებო, თქვე ბედნიერებო,
როგორ მშურს თქვენი ჯაღარა,
ქვა ღორღად მენაც მაქცია
თქვენს გვერდე დგომით დამღალა,
რა ბედნიერი ვიქნები,
ამ ტანჯვამ გული დაღარა,
თავს მენაც დავიბერებდი,
მეც მექნებოდა წლევები,
დავთვლიდი საუკუნეებს,
როგორც თქვენთვის დღეები.
მაგრამ გარედან არ ვიტყობ,
კაცის ბუნება მცდარია,
ჰირით ვიცინი ოხერი,
გული სევდისგან მდნარია.
თქვენ კი, ვერ ფარავთ ნაღველსა
და ვერც სიმღერის წუთებსა.
ზამთარი თეთრად ჩამოგთოვთ,
ხან ნისლით გიხვევთ შუბლებსა,
გაფრენას ფრთები გაკლიათ,
თუ ვინ ჩაგბერავთ სულებსა,
თქვენსა დარდსა და სიხარულს,
ბუნება იწვევს დობილნო,
ხოლო, ჩემსას კი, ცხოვრება,
თქვე, ღვთისგან გამოგონილნო!“

-ქალბატონო ეთერ, რა არის ცხოვრება?

-ცხოვრება ტანჯვაა, გაჭირვებას ვერ ავუდივართ, მაგრამ ჩემი შვილიშვილების შემყურე ხან ჩემი თავი ყველაზე მდიდარი მგონია. ჩემი დაბადებიდან დღემდე სულ ერთნაირ დონეზეა ჩემი ცხოვრება, არც წინ წასულა და არც უკან, „მაგრამ, მაინც მაქვს იმედი, ხვალ უკეთ გათენდებისა“ . ჩემი სიხარული ჩემი შვილებია, ეს არის ჩემი ყოველდღიური დღესასწაული, მშიერი არავინ მომკვდარა.

-თქვენი დიდიდ გაფასებდათ და არაერთ ღონისძიებაზე მიუწვევიხართ ფოლკლორის დიდ მოქომაგეს ვახუშტი კოტეტიშვილს. ამაზეც თქვით ორიოდ სიტყვა.

-ჯილდოც მომცეს, ლაურეატობაც მომცეს, არცერთი ფოლკლორის ფესტივალი არ ჩატარებულა ვახუშტი კოტეტიშვილის დროს, რომ მიწვეული არ ვყოფილიყავ, ჩემი ლექსები შესულია ქართული ფოლკლორის წიგნებში, ბევრი შაირიც მითქვამს, ბევრჯერაც გავლექსებივარ მოლექსეებს, მაგრამ ახლა ამას ვინღა დაგიდევთ, ცხოვრება თავისი კალაპოტით მიდის, მე ისევ ის ეთერი ვარ, ვინც ვიყავ ...

-ბოლო ვიზიტი სად გქონდათ, ბოლო შეხვედრის შესახებ მოგვიყევით...

-ახლახანს, 2015 წლის 6 ივნისს, მიწვეული ვიყავი თელავში, იქ ჩემი პირველი ლექსი, ბალღობაში დაწერილი ვთქვი, რომელიც ერთ ქისტ ბიჭზე დავწერე. 14 წლის ვიყავი, და მყავდა ახმეტაში გათხოვილი, პანკისის ხეობაში სოფელ ბირკიანში, მასთან ვიყავი სტუმრად, ლამაზი ვიყავ, ხოდა ვიღაც ჩეჩენი ბიჭი გადამეკიდა, მოიტანეს ამბავი, რომ შევყვარებივარ იმ ბიჭსა, ჩემმა დამ გადამმალა სახლში, რაიმე არ აუტეხონ ჩემს დასა და არ მოიტაცონო. ოთახში გამომწყვდეულმა ლექსი დავწერე. ჩემი პირველი ლექსიც ასე სიყვარულის ამბის ირგვლივ გაჩნდა.

„ქისტურ მანდილს დავიფიცავ, მეც ეურანზე ვილოცებ,
სიყვარულით ვისაუბრებ ქალი
ქისტურ კილოზე,
თუნდ შემრისხოს ქრისტეს მცნებამ სულაც არ შედარდება,
ოღონდ შენთან ვიღიღინო
ვალაჰ-ბილაჰ ჰანგებად.
სიყვარულმა, თურმე რჯული არ იცისო,
გავიგე,
გრძნობა სანთლად მით აგინთე, გული
ტაძრად აგიგე,
შენზე ფიქრით დავიღალე, შენ მაინც
ვერ გამიგე,
უმანკო ქალს შენმა ტრფობამ, ვაი რა
დღე მაწია,
ნუ გამწირე, გეხვეწები,
მითანაგრძნე ჰაწია.
ჩემი ტანჯვა და წამება შენთვის ორივ
ერთია,
ეველა ღმერთზე მძლეთა- მძლე ხომ სიყვარულის ღმერთია,
ხოდა მენაც მაჰატიებს ჩემი
ქრისტეს განგება,
თუკი შენთან ვიღიღინებ ქალი
ქისტურ ჰანგებად.“

-სად გადის თქვენი საზომი ადამიანის შეფასებისას?

- ადამიანი მართალი უნდა იყოს, მლიქვნელი და აფერისტი არც გაჭირვებაში და არც ლხინში არ გამოგადგება. მე ასეთი ვარ, თუ ეკონომიურად ვერ დავუდგები ადამიანს გვერდში, სიტყვით მაინც შემოვუყიჟინებ და ფეხზე დავაყენებ ადამიანს. სულით მდიდარი უნდა იყო ესაა მთავარი. პირში შეიძლება კარგად მოგექცნენ და პირს უკან გაგასწორონ მიწასთან, აბა ეს რა ადამიანობაა?!

-რა არის ის მთავარი, რაც უნდა დატოვო ადამიანმა ქვეყანაზე?

-შთამომავლობა და სიკეთე უნდა მოასწრო ადამიანმა, სახელი და ისევ სიკეთე, სამზეოზე სიკეთეს თუ გამოიტან, სხვას ვერაფერს.

-რას ისურვებთ?

-მშვიდობა, ჯანმრთელობა და მომავალი თაობის სწორი სულიერი აღზრდა.

-როგორ წარმოგიდგენიათ საქართველო 2050 წლისთვის?

-თუ არ ვიბრძოლეთ გადარჩენისთვის, არაფერი გამოვა, მთავრობა მუშაობს, მაგრამ გაჭირვებული ხალხისთვის ერთმა თუ სიტყვა არ ამოიღო, არაფერი გამოვა, არადა, ამ ქვეყანას ეს გაჭირვებული ხალხი თუ გადაარჩენს, თუ არადა, შეიძლება საქართველო 100 წლის შემდეგ სულ აღარ იყოს, მე ამას ვხედავ.

-საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება მალე და ყველაფერი უკეთესობისკენ წავა, რატომ გაგიტეხიათ გული?

-თუკი უკეთურობა იქნება, ევროკავშირიც მინდა და ნატოც, მაგრამ ქართული სული, ჩვენი სულიერება არ გადაგვარდეს, ეგაა მთავარი. ჩვენი ხალხი სუსტი ნებისყოფისაა, მომავალზე ზრუნვა არ იციან, პატრიოტიზმი დაიკარგა. საქართველოს სიყვარულს აღარ ასწავლიან დედები შვილებს.

-რას ურჩევდით დედებს, საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება.

- ყველა დედა ერთნაირია, ახალგაზრდები არიან ისეთი, რომ არ უსმენენ მშობლებს და უფროსებს, ჰგონიათ ყველაფერი ჩვენზე კარგად იციან, ცხვირს რომ წაიმტვრევენ, მერე ხვდებიან ჩვენს სიმართლეს. აბა, რა ვურჩიო, პირველ რიგში ბევრი შვილი გააჩინონ, რომ ფიზიკურად არ გადავშენდეთ, მერე ღმერთის, წიგნის და სამშობლოს სიყვარული უნდა შეასწავლონ შვილებს, ამით მოვიდა ქართველი ერი დღევანდლამდე, ბეჩავი და უწიგნური ხალხი არც ევროპას უნდა და არც ჩვენ. გვმართებს მოუფრთხილდნენ წმინდა მანდილს და პატიოსნებას. თაობების სწორად აღზრდაზე მთელმა ერმა უნდა იზრუნოს, თორემ მე ველაპარაკო შვილს სიწმინდეზე და იქ იმან ტელევიზორში საშინელი სიბინძურე ნახოს, ასე არ გამოვა, მხოლოდ დედებში არაა პრობლემა, დედებს გვერდით მთლიანი სახელმწიფო უნდა დაუდგეს, ტელევიზიებში სწორად შერჩეული მასალა უნდა მიდიოდეს და ეს ყველაფერი ერთმანეთთან შეწყობილად უნდა იყოს, თორემ გზა-კვალს აურევენ ჩვენს მომავალს, ცოდონი არიან, დაილუპებიან ბავშვები და მასთან ერთად მთელი ერი.

ლალი მეხრიშვილი

უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკა საზღვრისპირა სოფლებში

თბილისში მოქმედი „ინ-ვიტრო“ კლინიკის და სხვადასხვა პროფილის ექიმებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დახმარებით, საზღვრისპირა სოფლებში უფასო სამედიცინო აქცია გამართეს. დედოფლისწყაროში ეს 32-ე აქციაა, თუმცა, საზღვრისპირა სოფლები, რომლებიც რაიონულ ცენტრს მკვეთრად მოწყვეტილია, მანძილის გამო უფასო დიაგნოსტიკით სარგებლობას ვერ ახერხებდა. ამიტომ, ამჯერად აქცია სოფელ ქვემო ქედის ამბულატორიის შენობაში გაიმართა და მასში სხვადასხვა სახის კვლევები ასობით მოქალაქეს ჩაუტარდა. დიაგნოსტიკით მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებმაც ისარგებლეს.

„ინ-ვიტრო“ კლინიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მარიამ ხაბეიშვილი ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია რეგიონებში უფასო კვლევების აქციები, ამიტომ ამ კუთხით მათი აქტიურობა მომავალშიც გაგრძელდება. ამჯერად დედოფლისწყაროში დიდი ყურადღება დაეთმო რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხს.

ექიმი რეპროდუქტოლოგი, მედიცინის დოქტორი თამარ ჯაყელი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს: „კლინიკას ყოველთვის აქვს სურვილი, ისეთი პაციენტების გამოკვლევები ჩავატაროთ, რომლებიც პერიფერიებში ცხოვრობენ და დედაქალაქთან კონტაქტს ვერ ახერხებენ. ბოლო ხანს ქალბატონი ნათელა

თამაზაშვილის ინიციატივით და მხარდაჭერით დედოფლისწყაროს ვესტუმრეთ და საზღვრისპირა სოფლებში მოქალაქეებს კვალიფიციური უფასო მომსახურება შევთავაზეთ. მნიშვნელოვანი აქცია გამოვიდა, რადგან ბევრი მსურველი მოვიდა. პაციენტებს დანიშნულებაც მივეცით, რეკომენდაციებიც, თუ რა კვლევები ესაჭიროებათ და დავაკვალიანეთ, სად უნდა მიმართონ სამომავლოდ“.

„ძალიან მინდა, რომ წინ წამოიწიოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხი, განსაკუთრებით კი მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემა. ამიტომაც, როცა შევიტყე დედოფლისწყაროში გამგზავრება იგეგმებოდა, დიდი სიამოვნებით ჩავერთე ამ აქციაში, რადგან აუცილებელია, ყურადღებით ვიყოთ და მთელი საქართველოს მასშტაბით მოწესრიგდეს უშვილობის პრობლემა და ზოგადად, ამ ტიპის პრობლემები,“ - ამბობს ექიმი რეპროდუქტოლოგი მაკრინე შიუკაშვილი.

ამგვარი აქციის მნიშვნელობაზე საუბრობენ ქვემო ქედში მოქმედი მედიკოსებიც. მათი თქმით, ბევრი ოჯახისთვის რაიონულ ცენტრთან კონტაქტიც ჭირს, არათუ დედაქალაქში. ადგილობრივ ამბულატორიაში კი მწირი შესაძლებლობებია.

„ქვემო ქედის მაცხოვრებლები კმაყოფილი დარჩნენ, რადგან წლებია ამბულატორიაში ვმუშაობ და ამგვარი აქცია, მითუმეტეს უფასო დიაგნოსტირება აქ არასოდეს ჩატარებულა. ეკონომიურად ძალიან უჭირს ხალხს, არ აქვთ ფინანსური საშუალება, რომ გამოკვლევები ჩაიტარონ და სწორი დიაგნოზი მიიღონ. ამას გარდა, ჩვენი სოფელი რაიონულ ცენტრს მოწყვეტილია, თითქმის 45-50 კილომეტრითაა დაშორებული და ბევრი ოჯახი ვერ ახერხებს დედოფლისწყარში წასვლას. მოგეხსენებათ, მგზავრობა სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ადგილზე კი არაფრის საშუალება არ არის. ამბულატორიის შენობა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ევროკავშირის დახმარებით გაიხსნა, არ არის საკმარისად მოწესრიგებული. ადგილზე სოფლის ექიმი და ექთანი ვემსახურებით ადგილობრივებს, მაგრამ მოგეხსენებათ, აქ პირველადი რგოლია. დიაგნოსტირება ვერ ხდება და პაციენტების სხვაგან გაგზავნა გვიწევს. ამ კუთხით საინტერესო აქცია იყო,“ - აღნიშნავს სოფლის ექთანი ნათელა წიკლაური.

ნათელა თამაზაშვილი, რომელიც ამ ტიპის სამედიცინო კვლევების ინიციატორია, ამბობს, რომ სხვა რაიონებთან შედარებით დედოფლისწყარო ყველაზე უფრო აქტიურია და ბოლო სამი წლის მანძილზე არაერთი საქველმოქმედო ვიზიტი მოეწყო. ის ამბობს, რომ ბევრი პაციენტისთვის მომსახურება მხოლოდ ერთი კონსულტაციით არ სრულდება და საჭიროების შემთხვევაში, დაავადების აღმოჩენის შემდეგ, მკურნალობის პროცესშიც ეხმარებიან.

„ამ ტიპის გამოკვლევები ტარდება როგორც დედოფლისწყაროში, ისე სხვადასხვა სოფლებში. ამჟამად ქვემო ქედს ვესტუმრეთ. ბოლო სამი წლის განმავლობაში დედოფლისწყაროში ეს უკვე 32-ე სამედიცინო აქციაა. თავის მხრივ მოსახლეობაც კმაყოფილია. ნაადრევ პერიოდში ხდება ამ დაავადებების გამოვლენა და მიმდინარეობს როგორც ოპერაციული ჩარევა, ასევე სხვადასხვა ტიპის მკურნალობის პროცესი. ამგვარი კვლევები სხვა დროს არ ტარდებოდა, მითუმეტეს უფასოდ ვთავაზობთ და კმაყოფილება ნამდვილად რეალურია. მოგეხსენებათ, დედაქალაქში სიარულს ბევრი ვერ ახერხებს, ამიტომ ვცდილობთ, ადგილზე მოვემსახუროთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ. გარკვეული პროცენტით საყოველთაო დაზღვევა აფინანსებს, გადაუდებელი 100%-ით ფინანსდება, ასე რომ, სხვა შეღავათებიც აქვთ მოქალაქეებს. ამასთან, დაავადებების ადრეულ პერიოდში გამოვლენა გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა. ამიტომ ვიბრძვით, რომ დროულად გამოვლინდეს ესა თუ ის დაავადება და დროულად მიეხედოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მინდა გითხრათ, რომ ამგვარ სამედიცინო აქციებს მომავალშიც გავაგრძელებთ და ვეცდებით, კვლავ აქტიურად ვიდგეთ მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე,“ - აღნიშნა აქციის ორგანიზატორმა ნათელა თამაზაშვილმა.

63 წლის ქალბატონი: „არხილოსკალოდან ვარ, სხვა დროს ვერ ვახერხებდი და როცა გავიგე თბილისიდან კვალიფიციური მედიკოსები ჩამოდიოდნენ და მითუმეტეს მომსახურება უფასო იქნებოდა, მეზობელ სოფელში გამოვედი, რომ კონსულტაცია მიმეღო. მართლა ძალიან კმაყოფილი ვარ. გასაგებ ენაზე ამიხსნეს რა მდგომარეობა მაქვს, დამაკვალიანეს, როგორ უნდა მოვიქცე. აუცილებლად გავითვალისწინებ ექიმის დანიშნულებას და ალბათ შედეგიც მექნება. ექოსკოპიაც გადავიღე, რისი საშუალებაც მანამდე ადგილზე არ მეძლეოდა.“

75 წლის მამაკაცი: „მინდოდა შემემოწმებინა რა მდგომარეობაში ვარ. გულმკერდის არეში ორივე მხარეზე ჩხვლეტები მაქვს, მტკივა და მინდა გავიგო, რა პრობლემაა. როცა ადამიანი ცუდად ხდება, ფულს ვიღა დაეძებს, აუცილებელია იმკურნალოს, მაგრამ როცა სოფელში ჩამოდიან და უფასოდ გემსახურებიან, ეს ძალიან დასაფასებელი და მისასალმებელია. სასიამოვნოა, რომ სოფლიდან გაუსვლელად მოვახერხეთ ამ კვლევების ჩატარება.“

სამომავლოდ, სხვა პროფილის მედიკოსების ვიზიტი კვლავ იგეგმება.

ილია მარტყოფლიშვილი

სკოლებში ახალი მერხები დაიდგა

დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ახალი, ხარისხიანი და ლამაზი დიზაინის სასკოლო მერხები შემოიტანეს. ამ დღეებში მერხები უკვე აიწყო და მშვენიერი სკამები და მაგიდები უკვე კლასებში დაიდგა. აღნიშნულთან დაკავშირებით N1 საჯარო სკოლის დირექტორს ეთერ ოთარაშვილს ვესაუბრეთ, რომელმაც აღნიშნა, რომ თავდაპირველად 118 მერხი შემოვიდა, ხოლო ამჯერად იმდენი, რომ ახალი მერხებით მთლიანად დაკომპლექტდა კლასები.

- „ასეთივე მერხები შევიდა რაიონის თითქმის ყველა სკოლაში, ბავშვებიც და პედაგოგებიც დაღლილები იყვნენ პატარა ზომის მერხებზე ჯდომით, ხშირად უკვე მოზრდილ მოსწავლეებსაც უწევდათ დაბალ მაგიდასთან ჯდომა, რაც არასწორი იყო, განათლების სამინისტროსთან მიმართვის შედეგად, ჩვენ მივიღეთ ძალიან კარგი ახალი მერხები, რომელიც აკმაყოფილებს სკოლის მოსწავლისთვის გათვალისწინებული მერხის ყველა სტანდარტს. მოხარული ვართ, რომ ეს მოხდა. ამჟამად მიმდინარეობს მერხების კლასებში შეტანის პროცესი, ცოტა აჟიოტაჟია, მაგრამ იმედია მალე დავლაგდებით.“-აცხადებს ქალბატონი ეთერი.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს და სკოლის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ამასთან დაკავშირებით პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საპირფარეშოების ახლიდან გაკეთება და პირველი სართულის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე გათბობის სისტემის დამატებითი ქვაბის დამონტაჟება -კონსტრუქტაჟი დაგეგმილი იყო და უნდა განხორციელებულიყო 2015 წლის შემოდგომით, თუმცა, იმისთვის, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეშლოდა, ყოველივე ზაფხულისთვის გადავდეთ. —„ამ შემოდგომით დაგეგმილი იყო სკოლის პირველი სართულის რეაბილიტაცია, გასათბობი ქვაბების რეკონსრუქცია. მოგეხსენებათ, სკოლის სრულ და კარგ გათბობას ერთი საქვაბე და საჭიროა დაემატოსკიდევ ერთი. ამასთან, გამათბობელი ბატარიებიც არასწორადაა დამონტაჟებული და ის ხელახლა უნდა იქნეს დაყენებული. აი ამ ყველაფრისთვის დაგეგმილი იყო ეს შემოდგომა, თუმცა დასაწყისშივე, სასწავლო პროცესს სერიოზულად შეექმნა შეფერხება, მოგვიხდა კლასებში ბავშვების გადაადგილება, რაც ვერანაირად ვერ შეთავსდა, ამიტომ ზაფხულისთვის გადავდეთ. აქვე გათვალისწინებული არის საპირფარეშოების გაწმენდა, ახალი ქსელის დამონტაჟება და ახალი მეტლახ-კაფელებით გაკეთება. დამონტაჟდება, აგრეთვე სახურავიდან ჩამომავალი ჟოლობები, რომელიც ისე მაღლაა, რომ რაიონში არსებული ვერცერთი ტექნიკა ვერ სწვდება. ამიტომ კედლები ირეცხება. ეს პრობლემაც ამ პროექტით მოგვარდება. ვიმედოვნებთ, ამ ყველაფერს ზაფხულის არდადეგებზე განვახორციელებთ და სექტემბრიდან სიახლით შევხვდებით ახალ სასწავლო წელს.“-აღნიშნა „შირაქთან“ საუბარში ეთერ ოთარაშვილმა.

ნიშანდობლივია, რომ სკოლის დირექცია მუდმივად ფიქრობს ორიენტირებული იყოს მოსწავლეებისა და პედაგოგების კომფორტული გარემოს შექმნაზე. ამ შემოდგომით მოსწავლეების და მშობლების მოთხოვნით, სკოლის დირექციამ წყლის ნიჟარები დაამონტაჟა სკოლის ეზოში და შენობაში. მანამდე სკოლის მოსწავლეები გზას კვეთავდნენ და გამგეობის სკვერში არსებული ნიჟარით სარგებლობდნენ, რაც მოსწავლეების უსართხოებას უქმნიდა საშიშროებას. ამ მხრივ ამჯერად საკითხი მოგვარებულია, იმედია, სკოლებში მალე ყველა პრობლემა დაიძლევა და მათი ინფრასტრუქტურული დონე ევროპისას გაუთანაბრდება. წარმატებები ყველა სკოლას, პედაგოგებს და მოსწავლეებს.

ლალი მეხრიშვილი

ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს...

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჯაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!
ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,
ჰირს მარიდებენ ქალიშვილები!
შენ შეგრჩა ვაჟას ფილტვების დაღრღნა,
ჩემს წინააღმდეგ აღსდექი ახლა.
შენ ბოროტების გარეშე ვერ ძლებ,
შენ შეერკინე ანტიურ ბერძნებს,
შენ ჰიპოკრატემ ჭლექი გიწოდა
და მხოლოდ მაშინ შეშინდი ცოტა.
შენ გადუქროლე რომის ქარვასლებს
და შეაშფოთე რომაელები,
მაგრამ ახალი დროის ქალ-ვაჟებს
ამაოდ ცდილობ, რომ გაერევი!
შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა
და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა.
ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს.

-ეს ლადო ასათიანია, ქართველი უნიჭიერესი პოეტი, რომლის ახალგაზრდა სიცოცხლეც ტუბერკულოზმა შეიწირა და მისი ოცნება: „რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“ მასთან ერთად დაასამარა...

„ტუბერკულოზი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა“- ეს ფრაზა 21-ე საუკუნეშიც კვლავ აქტუალურია. ჭლექი, რომელმაც თავის დროზე საქართველოში უამრავი ნიჭიერი ადამიანი იმსხვერპლა, დღესაც გვიტევს. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებას აივ-ინფიცირებულების მიმართ უფრო მძაფრი რეაქცია აქვს, არც ტუბერკულოზთან მიმართებაშია სტიგმა დაძლეული.

24 მარტს მსოფლიოში ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა. იგი ვრცელდება ფილტვის ფორმით დაავადებული ბაცილგამომყოფი პირის მიერ საუბრის, ხველის, ცემინების დროს.

ტუბერკულოზის გამომწვევის მოხვედრა სასუნთქ გზებში ყოველთვის არ იწვევს ინფიცირებას და დაავადებას. თუ გამომწვევი ფილტვის ქსოვილამდე მაინც მიაღწევს, მას ორგანიზმის დაცვითი ძალები აუვნებლებენ ან ბოჭავენ. ამ დროს ადამიანი ინფიცირებულია, მაგრამ არა დაავადებული.

დაავადება ვითარდება მხოლოდ ორგანიზმის დასუსტებისას. ასე ხდება კვების, ყოფითი და შრომის პირობების გაუარესებისა და ხანგრძლივი დაავადებების გადატანის დროს თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებისას, განსაკუთრებით ასუსტებს იმუნიტეტს შიდსი, შაქრიანი დიაბეტი, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, სიმსივნური და კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები.

ტუბერკულოზზე ეჭვის მიტანა ხდება 2-3 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული ზოგადი სისუსტის, უმადობის, ოფლიანობის, ტემპერატურის მატებისა და წონაში კლებისას, როცა ამ სიმპტომების გამომწვევი სხვა მიზეზი არ დგინდება.

ფილტვის ტუბერკულოზის დროს, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება, ამას ემატება მდგრადი ხველა ნახველით ან მის გარეშე, ზოგჯერ სისხლიანი, სუნთქვის უკმარისობა, ტკივილი გულმკერდის არეში.

ამ სიმპტომების გამოწვევა შეუძლია სხვა დაავადებებსაც. ამიტომ დიაგნოზის დასასმელად პაციენტს უტარდება რენტგენოლოგიური და ბაქტერიოლოგიური კვლევა.

რენტგენოლოგიური კვლევით დგინდება ფილტვის ან სხვა ორგანოს დაზიანების ხარისხი.

ბაქტერიოლოგიური კვლევით დგინდება, შეიცავს თუ არა ნახველი ტუბერკულოზის გამომწვევ ბაქტერიებს.

თუ ნახველი შეიცავს გამომწვევს, ისმება ტუბერკულოზის დიაგნოზი. ასეთ დროს პაციენტი გადამდებია მკურნალობის დაწყებამდე და დაწყებიდან 3-4 კვირის განმავლობაში.

თუ ნახველი გამომწვევს არ შეიცავს, ექიმი სიმპტომებისა და მკურნალობის შედეგების მიხედვით ადგენს სხვა დაავადებას ან ტუბერკულოზის ისეთ სტადიას, რომლის დროსაც გამომწვევის გამოყოფა გარემოში არ ხდება. ასეთ დროს პაციენტი არ არის გადამდები.

ტუბერკულოზის დადგენის შემთხვევაში დაავადებულს უტარდება I რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით უფასო მკურნალობა მედპერსონალის უშალო ზედამხედველობის ქვეშ 6-8 თვის განმავლობაში. თუ დაავადების გამომწვევი I რიგის პრეპარატებიდან რომელიმე ან რამოდენიმე წამლის მიმართ გამძლე აღმოჩნდება, ისმება წამალგამძლე, ანუ რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზი და დაავადებულს უტარდება II რიგის პრეპარატებით უფასო მკურნალობა 18-24 თვის მანძილზე.

გამძლეობის განვითარებას იწვევს წარსულში არასწორად ჩატარებული ან შეწყვეტილი მკურნალობა. რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პირთან კონტაქტისას, შესაძლებელია, ადამიანი თავიდანვე გამძლე მიკრობით დაავადდეს. ასეთ შემთხვევაში პირველადად რეზისტენტული ტუბერკულოზი ვითარდება.

ამიტომ, მნიშვნელოვანია:

* ყველა ტუბდავადებულმა უწყვეტად იმკურნალოს ტუბდაწესებულებაში, სპეციალისტების მეთვალყურეების ქვეშ და რეჟიმის ზუსტი დაცვით.

• გადამდებ სტადიაში ტუბდაავადებულმა თავი შეიკავოს ხალხმრავალ ადგილებში ყოფნისა და ღია კონტაქტისაგან, ატაროს ნიღაბი, ხველისას აიფაროს ხელი ან ერჯერადი ხელსახოცი, ხშირად გაანიავოს ოთახი.

ტუბერკულოზი არ ვრცელდება ყოფითი მოხმარების ნივთებითა (ჭურჭელი, თეთრეული, წიგნები) და ყოფითი კონტაქტით (კოცნით, ხელის ჩამორთმევით).

ტუბდაავადებულის მიერ მკურნალობაზე უარი ან შეწყვეტა ნიშნავს საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფას, ასევე სხვათა სიცოცხლისათვის საფრთხის შეგნებულად შექმნას.

ტუბერკულოზით დაავადების შიშის გამო ოჯახის წევრების, ახლობლებისა და საზოგადოების მიერ ტუბდაავადებულის გარიყვა, სამსახურიდან დათხოვნა, ოჯახიდან გაგდება ასევე მიუღებელია, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ეს იწვევს პაციენტის გაუცხოებას, უიმედობას, უკარგავს მას მკურნალობის გაგრძელების სურვილს და შესაბამისად, განკურნების შანსს.

ტუბდაავადებულთან კონტაქტში მყოფმა ახლობლებმა და თანამშრომლებმა. ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი პაციენტს მკურნალობის დასრულებაში. ტუბდაავადებული, რომელიც წარმატებით მკურნალობს, აღარ არის გადამდები მკურნალობის დაწყებიდან რამოდენიმე კვირაში და მითუმეტეს, განკურნების შემდეგ.

„ტუბერკულოზი იკურნება!“ - ესაა ჯანდაცვის ორგანიზაციის სლოგანი, რომელიც იმედიანად განაწყობს პაციენტებსა და მათ ახლობლებს, თუმცა ამ სლოგანისა და 12 მილიონიანი დაფინანსების მიღმა კვლავ რჩებიან უკმაყოფილო ადამიანები საქართველოში, რომლებიც ბევრჯერ სამართლიანად აპროტესტებენ ამ დარგის მედიკოსების დამოკიდებულებას ავადმყოფებისადმი...

რაც შეეხება სტიგმას- ტუბერკულოზის საფრთხე არსებობს ყველგან, იქაც, სადაც არავინ ელის მას, ის ყველას ემუქრება... ერთადერთი თავდასაცავი საშუალება ძლიერი იმუნიტეტი და სამედიცინო დაწესებულებაში დროული ვიზიტია. პაციენტს კი საზოგადოებისგან იზოლირება კი არა, თანადგომა სჭირდება...

ინგა შიოლაშვილი

თქვენს პატარას დაუნის სინდრომი აქვს!

„ვწუხვარ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენს პატარას დაუნის სინდრომი აქვს“. ექიმის ამ სიტყვებმა სამუდამოდ შეცვალა მშობლების ცხოვრება...

იმ დროს ინტერნეტის ხსენებაც არ იყო, წამში რომ მოეძებნა ინფორმაცია ... შოკირებულმა მამამ მოიფიქრა და საჯარო ბიბლიოთეკას მიაკითხა...

„ამ დაავადებამ სახელი მიიღო ინგლისელი ექიმისგან ჯონ ლ. დაუნისგან, რომელმაც 1866 პირველმა ზუსტად აღწერა ეს სინდრომი. 1959 წელს ფრანგმა გენეტიკოსმა ჟერომ ლეჟენმა დაადგინა, რომ დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვები იბადებიან დამატებითი ქრომოსომით, 46-ის ნაცვლად 47-ით. მოგვიანებით მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ეს დამატებითი ქრომოსომა 21-ე ქრომოსომის ასლი იყო''...

„დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნებია: სახის პრტყელი პროფილი, სახის სპეციფიკური გამომეტყველება, მოკლე კისერი, სწორი კეფა, პატარა კიდურები, თვალის დამახასიათებელი არასწორი ირიბი ჭრილი, ტანისა და კიდურების დისპროპორცია''...

„ყოველ სამ წუთში, მსოფლიოს მასშტაბით, დაუნის სინდრომის მქონე ერთი ადამიანი იბადება, ყოველ 800 ბავშვში ერთს აღნიშნული დარღვევა აქვს. საქართველოში ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში სხვა პათოლოგიებთან შედარებით, დაუნის სინდომის მქონე ბავშვების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა''...

„ყოველ სამ წუთში''...

„800 ბავშვში ერთს''...

„რატომ მაინცდამაინც ჩემი შვილი''?!

ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ფაქტი ჯიუტი იყო... ის პატარა, მისი შვილი იყო და ამას ვეღარაფერი შეცვლიდა...

ექიმმა დედას აუხსნა, ახალშობილის განსაკუთრებულობა...

მნახველების შემკრთალ სახეებს, თვალს არიდებდნენ მშობლები... ჩვილის უცნაურ გამომეტყველებას, სახელს ვერ არქმევდა ას წელს მიღწეული დიდედა...

„ჩვენს ჯიშსა და ჯილაგში ასეთი არავინ ყოფილაო, ალბათ რძალს ჰყავდა ვინმეო''....

ჩვილის გაზრდასთან ერთად, იზრდებოდა პრობლემებიც და მშობლებს ცხოვრება ურთულბებოდა...

უფროს დას სცხვენოდა იმის გამხელა, რომ დაუნი და ჰყავდა...

დაუნ გოგონას კი, მუდამ ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.... უხაროდა ყვავილების და პეპლების დანახვა...

მეათე კლასში იყო უფროსი და, მამამ კომპიუტერი რომ უყიდა... გუგლში, პირველი რაც ჩაწერა, „დაუნის სინდრომი'' იყო...

უამრავ ინფორმაციას გაეცნო და მიხვდა, რომ ყველანი დამნაშავეები იყვნენ, მისი დის წინაშე...

,,რა იწვევს დაუნის სინდომს - ამ კითხვაზე მეცნიერებს პასუხი ჯერ-ჯერობით არ აქვთ. ამ დიაგნოზით შვილი შეიძლება ეყოლოს სრულიად ჯანმრთელ ადამიანს. სინდრომი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. სინდრომი გონებსა და ბიჭებში ერთნაირი სიხშირით ვლინდება. დაუნის სინდრომი არ არის დაავადება და შესაბამისად, მისი განკურნება შეუძლებელია. სინდრომი არც ტკივილებს იწვევს. თუმცა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მეტად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის პრობლემა საზოგადოების დამოკიდებულებაა, რაც ხშირად ხელს უშლის მათ სრულფასოვან ინტეგრაციას''...

,,დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს სწავლა, გართობა და მუშაობა ჩვეულებრივად შეუძლიათ. განვითარებულ ქვეყნებში დაუნის სინდორმის მქონე ბავშვები სხვებთან ერთად დადიან ბაღსა და სკოლაში. სპეციალისტები ამბობენ, რომ ასეთი ბავშვების განვითარებაზე ორი-სამი თვის ასაკიდან უნდა დაიწყოს ზრუნვა''...

მისი და კი, ახლა 14 წლისაა, არც საბავშვო ბაღში უვლია და არც სკოლაში... ქუჩაშიც იშვიათად გაჰყავთ, ძირითადად სახლშია, თავის ოთახში გამოკეტილი და თამაშობს უფროსი დის ნაჩუქარი თოჯინებით...

არადა ...

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს... ხვალ, მისი დის მსგავსი ადამიანების დღეა...

ტრაგიკული შემთხვევა ქედში

17 მარტს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 მამაკაცი გარდაიცვალა, კიდევ ერთი მგზავრი მძიმედ დაშავდა. გარდაცვლილთა შორის არიან ამავე სოფელში მცხოვრები 23 გურამ ბოძაშვილი და 30 წლის ლადო დარძული.

სოფელში გამგებლის წარმომადგენლის ლუხუმ ნაკვეთაურის ინფორმაციით, „ნისანის“ მარკის ავტომანქანა ნათათრალაშვილების ეზოს კარს შეეჯახა. ავარიის მიზეზად, წინასწარი ცნობით, გადაჭარბებული სიჩქარე სახელდება. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ სამაშველო ოპერაციაში სამაშველო სამსახურები მეზობელი რაიონებიდანაც გამოიძახეს.

თვითმხილველების საუბრიდან ირკვევა, რომ დაშავებული მძღოლის მანქანიდან გადმოყვანა რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ მოხერხდა. კიდევ ერთი დაშავებული პაციენტი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟით წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში გადაიყვანეს. როგორც სამედიცინო ცენტრში განაცხადეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარზე გამოძიებას დედოფლისწყაროს პოლიცია აწარმოებს. როგორც შსს წარმომადგენელმა შორენა ჯახუამ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ჯერ უცნობია, შეჯახების მიზეზი იყო თუ არა ალკოჰოლი. სოფელ ქვემო ქედში ამბობენ, რომ ახალგაზრდები ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ არ უნდა ყოფილიყვნენ.

„ამ უბანში იმ დღეს დაკრძალვა იყო და ეს ახალგაზრდები იქ ტრიალებდნენ, ოჯახს ქელეხის სუფრაზე ეხმარებოდნენ. მანქანაში გვერდით ვინც იჯდა, ის ნასვამი არ იყო, მძღოლზეც ალბათ ექსპერტიზა დაადგენს ჰქონდა თუ არა ალკოჰოლი მიღებული. სად ეჩქარებოდათ, არ ვიცით. რომ ვივარაუდოთ, ისე სეირნობდნენ, იმ მომენტში გართობის სიტუაცია არ იყო, რადგან საქმე ჰქონდათ. ძალიან კარგი ახალგაზრდები იყვნენ, დიდი ტრაგედიაა ჩვენი სოფლისთვის. ენით აღწერა შეუძლებელია, საშინელება ტრიალებდა. მანქანა იმდენად იყო დაჭყლეტილი, რომ მძღოლის გადმოყვანა დაგვიანებით მოხერხდა და მალევე დაიღუპა,“ - აღნიშნავენ სოფელ ქვემო ქედში.

შემთხვევის ადგილზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიც იმყოფებოდნენ. გარდაცვლილის ოჯახებს სამძიმარი გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გამოუცხადეს.

შეგახსენებთ, ამ სოფლებში ცენტრალურ მაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევები გახშირებულია. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ავარიას მსხვერპლი უკვე მესამედ მოჰყვა.

ილია მარტყოფლიშვილი

თურქეთი ტერორიზმთან ბრძოლას აძლიერებს – რა გავლენას მოახდენს საქართველოზე მეზობელ ქვეყანაში გახშირებული თავდასხმები

“ჩვენ დავაჩოქებთ ტერორიზმს” , - ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეპ თაიპ ერდოღანმა განაცხადა. ამასთან პრეზიდენტის თქმით, უნდა მოხდეს ტერორიზმის ხელახლა განსაზღვრა და ტერორისტად უნდა იქნეს მიჩნეული ის პირებიც, რომლებიც თავდასხმების განხორციელებას მხარს უჭერს. მისი განცხადებით, ეს შეიძლება იყოს ჟურნალისტიც, კანონმდებელიც და აქტივისტიც.

“არ არის განსხვავება იმ ტერორისტს, რომელსაც ხელში იარაღი ან ბომბი უჭირავს და იმ ადამიანს შორის, რომელიც თავის თანამდებობას და კალამს იყენებს იმისათვის, რომ ტერორისტების მიზნებს ემსახუროს”, - აღნიშნა ერდოღანმა.

აღნიშნული განცხადებები თურქეთის პრეზიდენტმა მას შემდეგ გააკეთა, რაც კვირას საღამოს თურქეთის დედაქალაქის კიზილაის რაიონში, სამთავრობო შენობების სიახლოვეს დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. თავდასხმას ბოლო მონაცემებით, 37 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავდა 125 ადამიანი. თურქეთში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეების დაშავების ან დაღუპვის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე არ შესულა.

პასუხისმგებლობა ანკარაში მომხდარი ტერაქტისთვის ჯერჯერობით არცერთ დაჯგუფებას არ აუღია, თუმცა როგორც სააგენტო “როიტერს” თურქეთის უშიშროების ძალებში განუცხადეს, აფეთქების ორგანიზებაში თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეული “ქურთისტანის მუშათა პარტიაა” ეჭვმიტანილი. ამასთან გუშინ 11 პირი დააკავეს, რომლებიც სავარაუდოდ, ტერაქტის ორგანიზებაში იღებდნენ მონაწილეობას.

ტერაქტის შემდეგ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ ხელისუფლება დედაქალაქის დასაცავად უსაფრთხოების დამატებით ზომებს მიიღებს. პარალელურად, თურქეთმა ქურთების დასახლებულ რამდენიმე ქალაქში კომენდანტის საათი გამოაცხადა, ერაყში ქურთების პოზიციებზე კი მორიგი იერიშები მიიტანააღმოსავლეთმცოდნე დიმიტრი მანჯავიძე განმარტავს, რომ “ქურთისტანის მუშათა პარტიას” ტერორისტული საქმიანობის 50-წლიანი გამოცდილება აქვს, ამიტომ მასთან ბრძოლა მარტივი არ იქნება.

“თურქეთს მაქსიმუმი აქვს გაკეთებული, რაც შეიძლება გაკეთდეს სამოქალაქო და არა სამხედრო ან განსაკუთრებული მდგომარეობის პირობებში. პრინციპში, ამაზე მეტის გაკეთება ასეთ მდგომარეობაში ძალიან რთულია”, - მიიჩნევს მანჯავიძე. მისივე თქმით, თურქეთში გაზრდილი ძალადობა სირიის ფაქტორთან არის დაკავშირებული.

“ის, რომ თურქეთის საქმე ტერორისტული საფრთხის და ქურთებთან ურთიერთობის მხრივ ძალიან ცუდი მიმართულებით წავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი სირიის კონფლიქტში ჩაერთო, ეს აშკარაა”, - აცხადებს მანჯავიძე.

აღმოსავლეთმცოდნე ვასილ პაპავა ამბობს, რომ “ქურთისტანის მუშათა პარტია” საბჭოთა კავშირის მიერ დაფინანსებული და გაწვრთნილი ძალაა, რომელიც შეიქმნა როგორც ზეწოლის ინსტრუმენტი ნატო-ს წევრ თურქეთზე. ის არ გამორიცხავს, რომ თურქეთში ქაოსისა და არეულობის შესაქმნელად ქურთი მებრძოლები ტერორისტულ საქმიანობას გააგრძელებენ.

“თურქეთი ბომბავს ქურთების პოზიციებს სირიაში, პარალელურად თურქეთში მთელ რიგ ქალაქში მიმდინარეობს შეტაკებები “ქურთისტანის მუშათა პარტიის” ბოევიკებთან. სიტუაცია ძალიან დაძაბულია, ჩემი მოსაზრებით, თურქეთში ტერორისტული საფრთხის დონე გაიზრდება და არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი ტერაქტები უახლოეს მომავალში კიდევ მოხდეს”.

ქურთი ბოევიკები თურქეთში ბოლო ერთი წელია განსაკუთრებით გააქტიურდნენ, თუმცა “ქურთისტანის მუშათა პარტია” თურქეთში მცხოვრები ქურთების პოლიტიკური უფლებებისთვის და ავტონომიისთვის ათწლეულების განმავლობაში იბრძვის. დიმიტრი მანჯავიძის შეფასებით, თურქეთი რთული დილემის წინაშე დგას, რადგან “ქურთებისთვის მეტის მიცემა თურქეთის დაშლის წინაპირობა იქნება”.

“საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქვეყანა ახლა ძალიან მძიმე სიტუაციაშია. ის დილემის წინაშე დგას: თუ მისცა მეტი პოლიტიკური ავტონომია ან დამოუკიდებლობა ქურთებს, ეს არის გარდაუვალი სვლა ქვეყნის დაშლისკენ. მეორე მხრივ თუ გადაწყვიტა ქურთების ძალისმიერი მეთოდით შეკავება, ეს ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან თურქეთში მცხოვრებ 15-მილიონიან ქურთულ მოსახლეობაში თითქმის ყველა ქურთული დამოუკიდებლობის მომხრეა. მე პირადად ვერანაირ გამოსავალს ვერ ვხედავ. აშკარაა, რომ იწყება თურქეთის ერაყიზაციის პროცესი, როცა ქვეყანაში პერმანენტული კონფლიქტის, მუდმივი ძალადობისა და ტერაქტების რეჟიმია” - მიიჩნევს მანჯავიძე.

ქართველი ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ თურქეთში არასტაბილურობა უშუალო გავლენას მოახდენს საქართველოზე.

“როცა კონფლიქტი დაიწყო, შარშან დიდი პრობლემები ჰქონდათ გადამზიდავებს, რადგან არაერთი ქართული ტვირთი გაიძარცვა. თურქეთი არის ის ქვეყანა, რომლის სტაბილურობა, ეკონომიკური სიძლიერე და ევროპასთან ის ურთიერთობები, რომელსაც ცდილობს რომ ააგოს, ჩვენთვის გადამწყვეტია, რადგან თურქეთი ჩვენი ერთადერთი სახმელეთო დამაკავშირებელია ევროატლანტიკურ სივრცესთან და იმასთან, საითაც ჩვენ მივისწრაფვით”, - აცხადებს მანჯავიძე.

ხსოვნა

გიორგი გიეგაშვილი



სევდამ ცრემლი იცის, მწუხარებამ-ტკივილი. დრო ყველაფრის მკურნალიაო... ვერ გავითავისეთ.

გიორგი, შვილო, შენი ყოველი გახსენება საშინელი განცდაა ჩვენთვის, გაუსაძლისზე გაუსაძლისი. შენი წასვლით გამოწვეულ მწუხარებას დრო ვერ ცვლის, ვერ ანელებს და ვერც შენგან დატოვებულ ცრემლს აშრობს. ნუგეში რწმენაა, რწმენა იმისა, რომ უკვე დაიმკვიდრე ადგილი სასუფეველში.

შვილო, 24 მარტს,შენი დაბადების დღეა. გვტკივა, რომ აღარასოდეს იქნები ჩვენს გვერდით და ვერასოდეს გეტყვით: „გიორგი, გილოცავთ დაბადების დღეს“. შენ ხომ კეთილი და თბილი ადამიანი იყავი. ყოველთვის ახერხებდი დიდი სითბო და სიყვარული ყველასთვის თანაბრად გაგენაწილებინა.

გიორგი, უშენოდ დამდგარ დაბადების დღეს გილოცავთ, შენ მხოლოდ 31 წლის გახდებოდი.

ჩვენ კი მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს, ყვავილებით და ცრემლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს. უფალი ჰფარავდეს შენს ალალ სულს, ჩვენო საყვარელო შვილო!

მე არ მოვმკედარვარ, გარდავიცვალე,
უსასრულობით შევცურე ზღვაში,
მე მხოლოდ ბინა გამოვიცვალე,
დედამიწიდან გავფრინდი ცაში.

შენი ოჯახი

ხსოვნა

ივანე თეთვაძე



დიახ, შენ იცოდი ვინ იყავი სინამდვილეში, იცოდი შენი თავის და აწონილ-დაწონილი სიტყვის ფასიც. სწორედ ამიტომ გვიჭირს რეალობასთან შეგუება, რასაც შენი იმქვეყნიურ სასუფეველში დამკვიდრება ჰქვია. ამიტომაა, რომ შენი შვილი, რომანიც სიამაყით ამბობს: -ის იყო ყველასთვის კაცობისა და პატიოსნების სიმბოლო, ჩემთვის, პირადად, სავიზიტო ბარათიო.

სწორედ ამიტომ, ასეთი ღრმა ფესვები, რასაც 37 წლის თანამეგობრობა ჰქვა, დატოვე ჩემს ცხოვრებაში.

ჩემი ცხოვრება შენ მოგიძღვენი,
განვლილი წლების რთული ქარტია,
რადგანაც მსურდა ერთად ჩაგვეცვა
თანაცხოვრების დიდი მანტია.

ეს წლები როგორ სწრაფად გასულა,
მიმოხედვაც კი ვერ მოვასწარი,
შენი მანტიაც ცალკე წასულა,
ამ მარტოობას რად მომასწარი.
საუკუდურების დრო აღარ არის.
იქნებ რაიმე დამრჩა უთქმელი,
მიმოვიხედე და წლებმა მითხრეს,
დიახ, მადლობა დაგრჩა სათქმელი,
არ დავიტოვებ მადლობას, გეტყვი,
ძლიერი ქალის ვარ ქვაკუთხედი,
ჩემი ცხოვრების იუავი გიდი
და ამიტომაც მადლობა დიდი.

მეუღლე -
დალი ქუსიკაშვილი-
თეთვაძე

შ.პ.ს. „გვანცას“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გია და მარინა ნატროშვილებს დედის

იტოს

გარდაცვალების გამო.

ლიანა, გიული, ავთო ხუციშვილები ოჯახებით იუწყებიან მამიდაშვილის

ნუგზარ ბურდულის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების გამგეობის წევრები: ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, ნანა ჭიჭინაძე, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, მერაბ რობიტაშვილი, ნანა საბიაშვილი, თამილა ნადირაშვილი, ტატიანა ბულუღაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე გამგეობის წევრს გია ნატროშვილს დედის

იტოს

გარდაცვალების გამო.

ლალი მაძღარაშვილი

დღეს 19 მარტია, ჩემი ლალი დეიდას დაბადების დღე... უზომოდ ენერგიული, მხიარული და ლალი დეიდა მყავდა, გაზაფხულივით გიჟ-მაჟი იყო... მოსიარულე პოზიტივი, წუთში 60-ჯერ იღიმოდა და სიცოცხლე უხაროდა, ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა.

მიუხედავად იმისა, რომ კარგად აღარც კი მახსოვს, სულში მაინც დიდი სითბო და სიყვარული მაქვს ჩარჩენილი მისგან.

მალე დატოვა ეს ქვეყანა და გაფრინდა, რითაც უამრავ ადამიანს მიაყენა უდიდესი ტკივილი, პირველ რიგში კი ჩემს ბებოს. ვიცი, ახლა კითხულობს და თვალზე ცრემლი არ უშრება, ძალიან მიყვარხარ ბები და ვამაყობ, ასეთი ძლიერი რომ მყავხარ!...

ჩვენ ყველას ძალიან გვენატრები, ლალი დეიდა, დედას, ბებოს, მეგობრებს და ახლობლებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული.

დიდი სიყვარულით და
მონატრებით შენი მეკო

„კარგი შვილი დედის გულის ვარდია“...

11 მარტს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „კარგი შვილი დედის გულის ვარდია“. სტუმრად მოწვეულნი იყვნენ მრავალშვილიანი დედები ოჯახებით. ყველა ოჯახს ჰქონდა

თავისი პროგრამა-რეპერტუარი. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ლოლაშვილები-დედაც და შვილებიც, თუმცა, მათ მხარდამხარ მიჰყვებოდნენ გიგოლაშვილები, ზურიკაშვილები და ჯეთერიშვილები. თითოეულ ოჯახს თავიანთი საინტერესო ნომრები ჰქონდათ წარმოდგენილი. მათ აგრეთვე ეძლეოდათ დავალებები:უხელოდ ნამცხვრის მირთმევა დედების მიერ, მორბენალი სიმღერა, მორბენალი ლექსი, კურიოზები და ბოლოს, ქალბატონ მაყვალა მაძღარაშვილის მიერ ჩატარებული „სპარინგ შოუ“, რომელმაც კიდევ უფრო გაახალისა ღონისძიება და ახალი ელემენტები შემოიტანა მასში. თითოეულ ოჯახს თავიანთი ფანტაზიის მიხედვით ჰქოდათ ლამაზად გაფორმებული მაგიდები.

ღონისძიების ხელმძღვანელი და წამყვანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი ნინო სიფრაშვილი, მასთან ერთად კი ამ ლამაზი დღის მომზადებასა და მსვლელობაში ჩართული იყო ყველა პედაგოგი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები სააღმზრდელო ცენტრიდან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რესურსცენტრის ხელმძღვანელობა და სხვა მოწვეული სტუმრები. სტუმარ-მასპინძელთა აქტიურმა ჩართულობამ ღონისძიება ძალიან შინაარსიანი და ხალისიანი გახადა და საერთო ჯამში, კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს მრავალშვილიან დედიკოებს, რასაც ისინი უდავოდ იმსახურებენ, გამოვლინდა გამარჯვებულიც, ეს ჯილდო ამ დღეს ლოლაშვილებს ერგოთ.

ჩვენ აქ ყოფნისას კიდევ ერთი სიახლის შესახებ შევიტყეთ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს-ქალბატონი თამარ ლაპიაშვილი, სპეციალობით ფილოლოგი, რომელიც 1982 წლიდან ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელად მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, იგი პერიოდულად ცვლიდა დირექტორებს და დიდი წვლილი მიუძღვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფუნქციონირება-განვითარების საქმეში.

ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 9 უფასო წრე, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა გაძლიერებაზე.

გვინდა, წარმატებები ვუსურვოთ ქალბატონ თამარს მის გუნდთან ერთად სამომავლო გეგმების წარმატებით განხორციელებაში.

ელზა ხარაშვილი



ულოცავენ!

ზვიად ჯავახიშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ზვიად ჯავახიშვილს ულოცავს დაბადების დღეს. უსურვებს ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და კარიერაში.

ზურიკო და მარინა ტუხაშვილებს!

გილოცავთ მესამე შვილის გიორგის დაბადებას. ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. საამაყო ბიჭი გაზრდილიყოს და გაეხარებინოს ყველა ახლობელი. მთელ ოჯახს გისურვებთ ბედნიერებას.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

სიყვარულით, გივი და ეთერ ტუხაშვილები.

შერმადინ და ლიზი იაკობიშვილებს!

ჩვენო ძვირფასებო, გილოცავთ დაბადების დღეს! ბიძა- ძმისშვილს ერთ დღეს გაქვთ დაბადების დღე, ამიტომ ჩვენს დიდ ოჯახში ამ დღეს ორმაგი სიხარულით აღვნიშნავთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის მფარველობას და გახარებას თქვენს ახლობლებთან ერთად!

სიყვარულით:
გულო,იური, ბადრი,ლუიზა, მზია იაკობიშვილები

სიახლე დედოფლისწყაროში

„სანო“ - ცხოველთა კვებითი დანამატების მწარმოებელი უმსხვილესი გერმანული კომპანია უკვე საქართველოშია. ჰოლდინგი 42 წლის მანძილზე წარმატებით მოქმედებს მსოფლიო ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, როგორიცაა მინერალური საკვები პრემიქსის სახით, კონცენტრირებული ამინოპროტეინების კომპლექსი. “სანოს” კონცეფციას წარმოადგენს ცხოველთა ჯანმრთელობის დაბალანსება მხოლოდ ჯანსაღი, არაგენმოდიფიცირებული კვებით, ყოველგვარი ქიმიკატების გარეშე.

გარდა მაღალი ხარისხის პროდუქტისა, გერმანელი სპეციალისტები მომხმარებელს გაუწევენ მუდმივ კონსულტაციებს, შეიმუშავებენ ინდივიდუალურ რეცეპტურას, დანერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინოვაციებს მეცხოველეობაში. პროექტში ჩაერთვებიან და დასაქმდებიან მომავალი ქართველი სპეციალისტები, პროფესიულ დონეზე მომზადდებიან სერთიფიცირებული ცხოველთა კვების ტქნოლოგები, ვეტერინარები, კონსულტანტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის და “სანოს” პროდუქციის შესაძენად მიმართეთ ზოოვეტერინალურ მაღაზიას. დედოფლიწყარო, რუსთაველის ქ. №4. ავტოგასამართი სადგურის “სოკარის” მოპირდაპირე მხარეს

მსურველთა საყურადღებოდ!

ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ იქირაოთ საბანკეტო დარბაზი 100-150 ადგილით ქ. დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. N8.(ჯარის წყალთან). დაგვიკავშირდით 599 90 25 82.

ყურადღება!

იყიდება ავტოსამრეცხაოს 2 ბლოკი და სხვა სათავსო-დანადგარები მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ანტონ ნატროშვილის ქუჩა (ყოფილი სამხედროების ტერიტორია შირაქის ქუჩიდან). მსურველები დაგვიკავშირდით:

577 05 07 00.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 21.03	სამშაბათი 22.03	ოთხშაბათი 23.03	ხუთშაბათი 24.03	პარასკევი 25.03	შაბათი 26.03	კვირა 27.03
დღე	4°	5°	6°	10°	11°	11°	3°
ღამე	0°	4°	5°	9°	9°	2°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მესხიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.